



საქართველო
თერჯოლა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება N 46²

12/01/2018

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე
საჯარო მოხელის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის
დანიშვნის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების მე-14 და მე-15 მუხლის შესაბამისად ვბრძანებ:

მუხლი 1. შეიქმნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე საჯარო მოხელის შესარჩევი საკონკურსო კომისია.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ხათუნა ნიკოლაძე.

მუხლი 3. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს დაევალოს განსაზღვროს კომისიის რაოდენობა და შემადგენლობა კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №7) კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო